სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/70

ქ. თბილისი 23 ივნისი 2021 წ.

სომხეთის ნაციონალური არქიტექტურულ-სამშენებლო უნივერსიტეტის რექტორის, პროფესორ ეგიაზარ ვარდანიანის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდებაზე წარდგენის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „უ" ქვეპუნქტის, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის 2021 წლის 19 მაისის სამსახურეობრივი ბარათის, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის № 3 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2021 წლის 23 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. სომხეთის ნაციონალური არქიტექტურულ-სამშენებლო უნივერსიტეტის რექტორს, პროფესორ ეგიაზარ ვარდანიანს, რომელიც ავტორია რამოდენიმე სახელმძღვანელოს, მეთოდური ინსტრუქციების სახელმძღვანელოსი და 35 სამეცნიერო სტატიის, მინიჭებული აქვს 2 ოქროს (2012 და 2015 წწ) მედალი და სომხეთის სახელმწიფო ჯილდო, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სომხეთის ნაციონალური არქიტექტურულ-სამშენებლო უნივერსიტეტს შორის ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო თანამშრომლობისათვის, ერთობლივი პროექტებისა და მეცნიერებების ურთიერთობების გაღრმავებაში ხელშეწყობისათვის, მიენიჭოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება (იხ. დანართი).
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ნ. ბუტუბიძე**